

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა- რაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвъ“
ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით— 8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

დროების

ბამოდის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ- დი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქო- ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა- ლობაზედ.

თუ სჭირდება მოთხოვნა, რედაქცია გაასწავლებს და შეამო- კლავს დახატვად გამოწვეული წერილებს. დაუბრუნებს წა- იღებებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за- границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდამ წლის დაბლოკვამდე 4 მან. და 50 კაპ.; სოფლის მასწავლებელთათვის 3 მან. და 50 კაპ.

შინაური ქრონიკა

ძნელი წარმოსადგენია, რა სა- ზიზარს გრძობას ჰბადვენ მწახვე- ლებში ის პატარა ბავშვები; რომელ- ნიც სხვა-და-სხვა გარეშემო მდებარე სოფლებიდან გამოდიან კოჯრის გზა- ზედ და დილიანი მოგზაურებს მო- წყალებსა სთხოვენ. რომ უჭირდეთ რამე ამ საბრალეებს, კიდევ არას იტყობა კაცი, მაგრამ როგორც ეტ ყოფილ არც ჰკმა აკლიათ, არც სმა, არც ჩაცმა-დაბურვა და თუ გლახა- ბენ, ამას ალბად მშობლების ჩაგო- ნებით ჩადიან, რომელთაც არ ესმით, რომ ამით საბოლოოდაა ღუპენ თაჲიანთ შეილებს და საზიზარ მი დრეკილებას უღვიძებენ.

ზასაკიცხნი არიან ეს ბავშვები, მაგ- რამ არც ის მოგზაურნი არიან საქებ- ნი, რომელნიც სიუხვეს იჩენენ, რო- დესაც ეს სრულიად საქირო არ არის.

სოფელი მლიეთი

(ეჭნა გ. აფიქლა სურათი.)

მისაც საქართველოს-სამხედრო გზა- ზე უფლია, მის ყურადღებას უეჭვე- ლად მიიქცევდა სოფ. მლიეთე თავის მდებარეობით და ორიგინალური შე- ნობებით. მოქვენ აქ შეხვდებით ორ- სამ სართულიანს უზა-მაზარ ძველ ქვითკირის შენობებს, რომელნიც კაცს აკვირებენ თავიანთ გარეგნობით და ფორმით. ამ შენობების დანახვზე კაცს შემდეგი ფიქრი წარმოუდგება თავში: აქ მოსახლენი, ეტყობა, კარგი შეძლებულნი ყოფილან ნიეთიერის მხრით, რომ ესეთი შენობების დადგ- მა არ გასჭირებიათ. მართლაც რომ შეძლებულნი ყოფილან აქაურნი მო- სახლენი ძველ წარსულში, მაგრამ სამწუხაროდ ესევე არ ითქმის ეხლან- დელ მცხოვრებლებზე, რომელნიც ძრეულ გაჭირებულ ცხოვრებაში არიან ხანჯან-საფიხი და საძოვარი ალაგების სიმკირის და სიჭრუოის გამო. მოქვენ კარგად მოგვეხსენებათ რომ ჩვენი გლე- ხი კაცის კეთილ-დღეობა ხენა-თესვა- ზეა დამყარებული და თუ სახანა-სა- თესი ალაგე მცირე აქეს, მაშინ აღვი- ლი წარმოსადგენია მისი მღვამარო- ბა, ალაგების სიმკირე და უქონლო-

ამ თვის ათს, მუთაისში, სი- ლაზე, ლომიტლების მახლობლად, კიდევ გაჩენილა ცეცხლი. დამწვარა ერთ-სართულიანი ქვის შენობა. მ- ზღვეული იყო, თუ არა, არ ვიცით. ბევრნი ამბობენ დაზღვეული არ ყო- ფილა და მტრობით გაუჩინეს ცეცხ- ლი.

აგვისტოს 30-დამ დაწყება ჩვენს ქალაქში ოპერის წარმოდგენები. ოპერის არტისტებს შორის ბ. ში- თოევს, სხვათა შორის, მოუწყევია თბილისის ნაცნობი ქ. ზარუნდია, ლოდი და ბუნოვეცი. ახალს ოპე- რებსაც გვირდება ბ-ნი ანტონოვნი- რი, მაგ.: «მაზეპა», «როგენდა», «შვიგროს ქორწინება» და სხვ. ოპე- რის გარდა დრამატული წარმოდგე- ნებიც იქნება, თუმცა ახალს არტისტს ვერ ვხედავთ ახლად გამოცხადებულს სიაში, გარდა ერთისა—ა. ა. იაბლოჩ- კინისა, რომელიც საიმპერატორო-

ბა საზოგადო მოვლენა გახლავს მთელ მთიულეთში.

მლიეთლები ქართველები (მთიუ- ლები) არიან და ისე კარგად ლაპარა- კობენ ქართულად, როგორც ქართ- ლელები და კახელები, მხოლოდ ზო- გიერთი სიტყვების გამოთქმა და ხმის ამალღებ-დადაბღება ცოტათი განარ- ჩევს ამათ უკანასკნელთაგან.

სოფ. მლიეთე ვანიყოფება ორ ნა- წილად: ერთ ნაწილს ჰქვია ზემო- მლიეთე, მეორეს—ქვემო-მლიეთე სოფ. ქვემო-მლიეთე დასახლებულია ერთი გვარის ხალხით—ბურდულებით, ეგ- რედ წოდებული «ლომისის» ყმებით, ლომისის დეკანოზებით. ძველად ბურ- დულნი ძრეულ მიღებულნი და პატიე- ცემულნი ყოფილან მთიულეთში; მათ წინაპართ დიდი სამსახური გაუწყვიათ მთიულეებისათვის წარსულ საუკუ- ნოებში მთიულეები მლიეთიდგან და- წყებული ვიდრე პანაურამდე, ძლიერ შემინებულნი და შემწუხებულნი ყო- ფილან ოსებისაგან; ისე ყოფილან მათგან დამონავებულნი, რომ მთი- ულებს ყოველივე მათი ბძანება და სურვილი უნდა აღესრულებინათ და ოსებთან წინააღმდეგობის გაწევა ყოფილან შეუძლებლად მიანდათ. რო- დესაც სოფ. მლიეთეში რამდენიმე ოსი ჩვეულებისამებრ მისულან, ბურდუ- ლებს მათი თავ-გასული თავისუფალი ქცევა არ მოჰსწონებიათ და ყველანი ამოუხოცნიათ.

თეატრის რეჟისორად იყო. აბონემენ- ტის ბილეთები ეხლადვე ისყიდება 10 % დაკლებით.

თბილისის წმინდა ნინოს საქა- ლეზო სასწავლებლის მთავრობა აცხა- დებს, რომ ხელმეორედ დასაჭერი ეგზამენები ამ სასწავლებლის მოწაფე- თათვის დანიშნულია ამა აგვისტოს 26-სათვის. იმათთვის კი, რომელთაც ჰსურთ ახლად მიღებულ იქმნენ ამ სასწავლებელში, ეგზამენი დაიწყება აგვისტოს 28-ს, დილის 8 1/2 საათ. სწავლა ენკენისთვის 2-ს დაიწყება.

ხევიდამა გვეწერენ: «ამ დღებ- ში აქ მოვიდა მინისტრისაგან გამოგ- ზანილი ჩინოვნიკი, რომელიც არის დანიშნული ხალხის ცხოვრების გა- მოსაკვლევად. ორი-სამი დღე დარჩა აქ, მაგრამ ამ ქვეყნის დედა-ენაზედ ლაპარაკის უცოდნისობამ და თოლ- მჯის უყოლელობამ ძლიერ უშლი- და.

სოფელს ტყარშეთს გაჩენილი სა- ხალი, რომელიც «დროების» მე-163 №-ის შინაურს ქრონიკაში იყო ნახსენ- ები,—თან-და-თან ჩუმ-ჩუმად თავს იჩენს: ტყარშენიდან ჯერ სოფელს გადმოვიდა, ახლა სოფ. არზასაც გა-

მესებს ეს გაუგიათ და მაშინვე კომლზე კაცი წამოსულა მთიულეთის წასახდენად. ამ ხანებში ცხრანი ძმანი ბურდულნი მთიულეებს უქადაგებენ ოსების ბატონობიდგან განთავისუფ- ლებას და მათ წინააღმდეგ ვალაშქ- რებას. მათის წინააღმდეგობით ხალხი სთხრის თხრილს სოფ. ძაიშაურის ზემოთ, მთელი იმ ველის სიგანეზედ, სადაც ოსების გამოვლას მოვლიან. როდესაც კარგა ღრმა და განიერი თხრილი გაავითეს, მაშინ თხრილის ზემოდამ წერილი ხის ტოტები დააწყეს და ზედ მიწა და ბალახი მიაყარეს, რომ მტერი არ მიხვედრილიყო იმათს განზრახვას.

მთიულეები არ შესცდენ; როდესაც ოსები მიადგნენ თხრილს, მაშინ მათი მოწინავე ხალხი თხრილში ჩაცვიდა. აქ ჩამოსაურებული მთიულეები ბურ- დულების წინამძღოლობით გამო- ცვიდებიან თავიანთ საფრებიდგან და ოსებს მუსარს გაავლებენ. ამ ბრძო- ლის შემდეგ ოსებმა და მთიულეებმა პირობა შეკრეს, რომლის ძალითაც ოსებს ყოველ წლივ ბურდულებისა- თვის ხარკად უნდა ეძლიათ: თორმე- ტი კოკა მავლის წვენი (малиновка), ცხერები და სხვ. ეს გამარჯვება ხალ- ხის ხსოვნაში ჯერ ისევე ახალია, დავი- წყებას არ მისცემია. ხშირად გაიგო- ნებთ სიმღერის დროს შემდეგს ლექსს:

„ოსეთს იყრება დაქვარა
ქაღმ მიუძღვება წინაო;

მოჩენილა. მრთი ამ სოფლის მცხოვ- რებთაგანი სახელდობრ ანდრია ბაზა- ლი ჯერ თითონ გახდა ამ სახალით ავად და ახლა ამის ცოლსა და შვი- ლებს გადასდებია.

ამას გარდა ამ თვის 1-სა, სო- ფელს გორის-ციხეში ერთი ძალღი გა- ცოფიანდა რომელმაც სამი სული აქ დაგლიჯა და სამიც სოფელს გერგეტ- ში,—საწამლევბლად ხსენებული დაგ- ლევილებისა მოიყვანეს ვილაც ბულ- დანა ძაქავიადამ. ხსენებული ბულდა- ნა ეხლა მესამედ არის მოყვანილი ჩვენში ცოფიანი ოთხ-ფეხი პირუტყვე- ბისაგან დაგლევლიების საწამლებლად და ხალხი ძლიერ ემაღლიერება. ამ- ბობენ, როიერ მარჯვედ არჩენსო.

«ძავეკს» აცნობებენ, რომ მამა მღ. მავით ბურგენიძის ჩაგონე- ბით, მოკლეს ხანში სემინარიის ეკლე- სიაში მოინათლება ერთი ებრაელი ოჯახობა: ცოლ-ქმარი ორის შვი- ლით.

ზაზ. «ძასპის» სიტყვით ბაქოს ჩასულან ამ ჟამად სიღნაღიდან და ოსელაიდან რამდენიმე ეპარნი, რომელთაც განზრახვა აქეთ ხორბალი შეისყიდონ.

გადვიდეთ მთიულეთშია ნადორეკს*) დაჯდეთ ბინაო, განხიოთ ქაღა და რძალი ქაღმის მიგართოთ წინაო. ეს სურდულეჟმა გაიკეს, წელზედ შეიბრტკეს რკინაო, შეიდი ათსის კაცისა ერთი გაუშკეს შინაო.

ბძოლის გათავების შემდეგ, მთიუ- ლებს ბურდულებისათვის შემდეგი სი- ტყვებით მიუმართინათ: «ბურდულნი! როგორ გადაგინადოთ მაგიერი სიყე- თე, ან რასა გეთხოვთ თქვენი სამსა- ხურისთვის?» ბურდულებს უპასუხიან: «ჩვენ გთხოვთ თქვენი მამა-პაპათა სა- ლოკავი, ლომისის ხატი, რომელიც პატაშურებს აბარიათ, ახლა ჩვენ ჩა- გვაბაროთ. მკლესიასაც ჩვენ მოეუე- ლით და მის შემოსავლითაც ჩვენ ვი- სარგებლეთ». ხალხს აუსრულებია მათი თხოვნა და ბურდულები ლო- მისის წმ. ბიორგის ეკლესიის შე- მოსავლით სარგებლობდენ 1851 წლამდის. თუმცა ბურდულებს 1852 წლიდან ეკლესიის შემოსავალი ხე- ლიდან გამოეცალათ, მაგრამ ლო- მისის დეკანოზობა ისევე შეიჭრი- ნეს. მლიეთის ლომისის დეკანოზო- ბის მიღება შეუძლიან ყოველ მო- ხუცებულ ბურდულს და არა სხვა

*) ნადორეკი პატარა სოფელია, ს. მლე- თიდგან შვიდი ვერსის სიშორეზე.

ახლად დამტკიცებული სრულიად სომეხთა კათოლიკოსად არქიპისკოპოსი მაკარი დაბადებულია 1802 წ. აზიის მსხალეთში. წინაპირველად იგი ემსახურებოდა სომხის ეკლესიას ემპიაში და სხვაგანაც შემდეგ 15 წლის განმავლობაში, განაგებდა ობილისის სამეხთ ვარქიას. უკანასკნელად, ამამორჩევებამდე, მაკარი ცხოვრობდა პიშენეში და განაგებდა ბესარაბიის ვარქიას. სამს უკანასკნელ ამორჩევების დროს, როცა სომეხთა კათოლიკოსების ტახტზე არჩეულ იქმნენ ნერსისი, ოადეოზი და ბევორქ IV, მაკარიც იყო კანდიდატად და მხოლოდ მეოთხე ამორჩევებმა არგუნა მას სრულიად სომეხთა კათოლიკოსის ტახტი.

სახელმწიფო მონებათა სამინისტროს შეუქმნა პროექტი იმ სახელმწიფო ქონებათა მართვისა, რომელნიც მდებარეობენ სტავროპოლის, ბაქოს, მანჯის, შუთაისის, ობილისის და მრეწვის გუბერნიებში, აგრეთვე შუბანის და მერგის მაზრაში და წარუდგენია დასამტკიცებლად სახელმწიფო რჩევაში.

ტიბულის რკინის გზა დღით დღე უახლოვდება უღვევლ ქვა ნახშირის მადანს და ამიერ-ბაგდასის რკინის გზის საზოგადოებაც ეშურება პირობა შეკრას ამ მადანის მებატრონებთან.

გვარისას. ლომისის დეკანოზების მიწაწვევლად ბევრჯერ ოცი-ოცდაათი ვერსის მანძილიდამ მოდიან. ხშირად მღვთის მ—ელს გარეშე საფულებილად კაცს უგზავნიან შემდეგი სიტყვებით: ჩვენ ამა-და-ამ საფელში, ამა-და-ამ ხატის კარზე ვართ მოსულნი; ლომისის დეკანოზთაგანი ვინმე გამოგვიგზავნე, ცხვარი დაგვიკლას და დაგვამწყალოვნოს.

ბურღულების გავლენა ხალხზე ძლიერ დიდი ყოფილა. ხალხის ფანტაზიას ის სიმამაცე რომელიც, ბურღულებმა გამოიჩინეს ოსების წინააღმდეგ, ერთი ათად შეუორკცებია. ბურღულებისა თვით მეფესაც ვშინოდა, ამბობს იგი: ჩვენ ცხვარი ძვანი ბურღულნი ქალაქს ჩავუხდით მეფესა, დაუწყებინეთ ძუნძული; რის გამოც ამათთვის მზად იყო (სუფრა უწევდარი, ქილი უთხოვარი), ე. ი. ყოველ ბურღულს შეეძლო დაუბატოვებლად სუფრაზე მისულიყო, როგორც სასიამოვნო სტუმარი მასპინძელისათვის და რომელი ქალიც მოეწონებოდა მთიულეთში, შეეძლო ცოლად შეერთო; ამაზე ქალის დედამამს არ შეეძლო უარი ეთქვა, ამიტომ რომ თუნდ მახინჯი ყოფილიყო ბურღული, ხალხი მაინც სხვა გვარებზე მაღლა აყენებდა მას: რაც გინდა ცული ბურღული, დასვიან სუფრის თავშია.

ზანსაკუთრებით დიდი სიხარულით მოელონ დეკანოზები ხატობა—ლომისობას მოსელას, რომელსაც ხალ-

რუსეთი

საპატიმროთა უმთავრეს სამართველოს 50-მდე ქალაქი მისულია სხვა-და-სხვა გუბერნიების უფროსებისაგან, რომელნიც შუამდგომლობენ, რომ ახალნი საპატიმრონი იქმნენ აგებულნი მათ მიერ რწმუნებულს გუბერნიებში, ძველ საპატიმროთა უფარვისობის გამო ამ საქმისთვის გუბერნატორების თხოვნით უნდა გაღებულ იქმნას 8,000,000 მან—მდე. ხსენებულს სამართველოს თავის მხრით შეუწყინარებია ეს თხოვნები და ეხლა თვით შუამდგომლობს, რომ მომავლის 1886 წლიდამ ამ საქმისათვის გადაღებულ იქმნას საკმაო ჯამი ისეთის საპატიმროების ასაგებად, რომელნიც დააკაყოფილებენ ახალის წესდებულების მოთხოვნილებას.

საიმპერატორო მხატვრობითს აკადემიაში წელს ქალებს აღარ მიიღებენ. მგზამენები მოხდება აგვისტოს 26-ს. აკადემიაში ნება აქვთ შესვლისა გიმნაზიებში, სახელოსნო სასწავლებლებში და საზოგადოდ საშუალო სასწავლებლებში კურს-შესრულებულ ახალ-გაზდათ.

ქალაქს სტარაია რუსას ახლო ერთს საფელში მომხდარა შემდეგი ამბავი. ამ საფელში მცხოვრებ ვინმე მიქტარისა და მლადიმერ ნორმანსკებს, ღვიძლ ძმათ, მოექულებინათ

ბი დღესასწაულობს ყოველ-წლივ სულთ-მოფენობის მესამე დღეს. ამ დღისათვის, მთიულეთის ყველა სოფლებიდან, მსეთიდან და მრწო-მიანეთიდან ურმებით და ცხენებით დაიძვრის ხალხი ლომისაში (სალოცავად). სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ მოსული ხალხის რიცხვი რამდენიმე ათასამდის მიადწევს ხოლმე. ბი მომეტებული ნაწილი ხალხისა მოსულია ლომისაში*). ურმების და ცხენების სიმრავლე, რომელნიც გაფანტულნი არიან დიდ მანძილზე, ეკლესიის გარეშემო, თქვენ მოგაგონებთ დიდ სამხედრო ბანაკს. მრთი მხრიდან სიმღერა გესმით, მეორე მხრიდან ქალები (მუზიკას) უკრავენ, მესამედგან ქლავი-კლავი და ყვირილი გაისმის შექვიფიანებული ხალხისა. მეოთხე მხარეს მლოცავეები საკლავებს მიერეკებიან დეკანოზებისაკენ, რომელნიც იქვე ეკლესიის ახლო „ამწყალობნებენ“ მოსულ ხალხს: ბი ერთი დიდი ჭედილა ცხვარი მოჰყავს ხანში შესულ კაცს და აყენებს უხუცესის დეკანოზის წინ. «შენი კირიმე, იოსებ, დამამწყალობნე», ეუბნება ცხვრის მომყვანი. წელში გაიძარტება, მედიდურად გაიხედ-გამოიხედავს თეთრომიანი, წვერ-გამოშვებული მოხუცებული დეკანოზი, ერთ ხელში ანთებულ სანთელს დაიჭერს და დაიწყებს ხმა-მაღლა დამწყალობნებას შემდეგი სიტყვებით:

*) ლომისის ეკლესია შიგ სოფ. მღვიმეთშია, საქართველოს-სამხედრო გზის პირას.

მზობელი-მამა და სანლიდამ გამოვედოთ თავიანთ დედის ჩაგონებით, რომელიც აქეზებდა შეილებს თურმე და ეუბნებოდა, რომ მამა თქვენმა გაფლანგა ჩემი აუარებელი სიმდიდრეო.. მოხუცი მამა, რომელიც რამდენიმე წელი სტარაია რუსას თავად-აზნაუ-ურობის წინამძღოლად იყო, თურმე, არჩეული, დემორჩილა თვის ბედს და მოწორდა შეილებს; თუმცა უდიდისნი შეილნი ამის შემდეგაც არ უსვენებდენ მას, მთავრობას აბეზლებდენ ხშირად, როგორც ცუდის საქმეების მოქმედს, მაგრამ ამათს ბეზლებას არც მამა და არც მთავრობა, საუბედუროდ, არ აქცევდენ ყურადღებას. საუბედუროდ იმიტომ, რომ, თუ კი ყურადღება მიექციათ—ერთი ძმათაგანი, მიქტარი, რომელიც აწარმოებდა ოჯახის საქმეებს და ბეზლობის ქაღალდებსაც სთხზავდა, კარგა ხანია გიყების სახლში უნდა მჯდარიყო. თვის ქაღალდებზე მიქტარი ამ რიგად აწერდაო ხელს: «მსწავლეული აგრონომი, ნამდილი სტუდენტი პეტროვისაკადემიისა, არტილერის შტაბს-კაპიტანი მ. ი. ნორმანსკი, მზრუნველი პოდგომისა, რატიცის, ლიუბინის და სხვ. გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა» სავიზიტო კარტიჩებზე ამ წოდებათა გარდა ეწერა კიდე, რომ მ. ი. ჩამომავლობით აზნაურია, ამა და ამდენის წლისა, ამდენი დესეტინა სახანე-სათესი და ტყე აქვს და სხვ. და სხვ. შევლა ამის მიუხედავად, მიქტარი არჩეულ იქმნა სტარაია რუსაში საპატიო მსაჯულად.

დიდესა დემეტოსა, მადლი დემეტოსა!
 დემეტოსა გაუმარჯვე ლომისის წმინდა გიორგის!
 დემეტოსა გაუმარჯვე ღვთის მშობელ დედასა, ჰქის წულად მქცაქცესა!
 დემეტოსა გაუმარჯვე ჰქის საქმისტიანოს სემქაქცესა!
 გვირასა, ღვთის კარზე მდგომალესა, ღვთის ისა: უც სს!
 ძაოთ მადლო, სამართლო ღვთისა, თქქი შექვიფით ყოველ ქრისტიანსა, მოსსა, ზარსა, თავიად ბოლომდის მთიულეთსა, ბატონსა და ემასა.
 თქქი გამობასსა, კარის გაღება, კეთილად მოუსდასკ.
 ჰმ. ტუ ამის ოჯახსა ჰურსა, ჰურის მუშასა წულასა და გაი საქმსა რაც ჰქვანდეთ გაუსარჯ და ურხისი, კიდევ წული გაუსისი, ჰქის წულაობა და ურხისი, ალათ შექვიფე ამის სამსახურა, წამოყენე უფლი საკლავი, სასეს თასი და სანთელი, ალათ ქრისტეს მუქუქს მიურთვი, წულაობა იქადამ გამოუტსკი, გეკურას ოჯახს კეთილი ცხოვრება, მითლი საქმი, კეთილი გონება შექმტე, ამათც ჰქი წულაობა ეკურებათ, გცსა, ქალსა დიდსა და მატარასა. ჰქი წულაობა მიეც გეკურასა, საქათო, სამღვდლოთა, ამის ჰქი მადლსა!»

ამნაირი ლოცვა კურთხევით რეა ასამდის ცხვრები და კურატები დახოცეს დეკანოზებმა. საკლავების დახოცვის შემდეგ რამდენიმე საათი გავიდა და ხალხმა ხელ-მეორედ დენა დაიწყო დეკანოზებთან მომეტებულის უმ-

იმ თავითვე გლეხები ძლიერ უკმაყოფილონი, თურმე, იყენენ ამ ორ ძმაზე მამასთან ასე უკაცურად მოჰყრობისთვის და ამ ბალოს-კი ვეღარ მოითმინეს, რადგან მამას უფრო-და-უფრო ცუდად ეპყრობოდენ, თურმე, შეილები. ზღვებმა გადასწყვიტეს, მიქტარი და მლადიმერი აღარ გავიტაროთ ჩვენს ადგილებზე და როცა ამ გვარი წინააღმდეგობა გაეწია ერთს გლეხს მიქტარისათვის, ამ უკანასკნელს დაეძახა თავის ბიჭებისათვის, მოეტანინებინა რევოლვერი და იქვე მოეკლა გლეხი. მსეთის მკვლელობის შემდეგ მიქტარი ნორმანსკი კიდე თვით უგზავნის მთავრობას ქაღალდს და ითხოვს ჯარებს თავის დასათვრავად და წესიერების დასაცველად.

რუსეთის გავნებები ძლიერ უჩივიან წელს საქონლისათვის საკვებავის მოუსაველობას. დიდი უბედურება მოვიდის განსაკუთრებით სამხრეთ რუსეთს, სადაც გამუდმებულმა გვალვამ ერთიანად ამოწვა მოსავალიო. ზაზეთები რჩევს იძლევიან, რომ თივაზის გადასატანი ქირა რკინის-გზებით საკმაოდ შემცირდეს დროებით მაინც, რომ სამხრეთ რუსეთმა გადმოტანილის საკვებავით მაინც გაიტანოს თავის პირუტყვი საქონელი, თორემ სიმშობა ერთიანად ამოსწყვეტს ამ მხარეში საქონელსაო.

მომავალ ენკენისთიდამ სიმბირში შემოღებულ იქმნება ზოგიერთა ახალი სასამართლო რეფორმები,

რავლესობით, ვიდრე პირველად. ზოგს ქადა უჭირავს ხელში, ზოგს ფული და აველა «დამწყალობნებას» ელის დეკანოზებისაგან. დეკანოზი ართმევს ქადას მომტანს და ხმა-მაღლივ მქვერმეტყველურად გაიძახის: «მოურთმე-ვია საწირი, სამსახური, სამწყალობინო, საკლავი, სანთელი, მოსულს მიეცი შენი წყალობა, წასულს თან გაატანე ლომისის წმ. გიორგიე! ზოგ მლოცავს პურის ხორბალი მოაქცეს, ზოგს ყველი, ერბო მთიულების აზრით ამების მიტანით, ისინი იხდიან ბეგარას თავიანთ ბატონ ლომისისას (*) საათის სამზე მლოცავეები სრულიად წავლენ-წამოვლენ, ისე რომ დეკანოზების მეტი აღარაეინ რჩება «ლომისაში»

P. S ის ვერცხლს ჯვრები, რომელთ თავყანის საცემლად ათასობით მლოცავი მოდის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ, შესანიშნავნი არიან თავიანთ სიძველით და ფორმით. ძალიან ცოტათი მიემზგავსებიან ეხლანდელ ფორმის ჯვარს; განსხვავება დიდია მათ შორის, და ამ მხრივ ძლიერ შესანიშნავნი არიან, როგორც არქეოლოგიური ნაშთები.

*) წმ. გიორგის რად უწოდებენ მთიულეთში ლომისად, ვერ გავიგე და ვერც თითონ ამისხსეს.

სახელდობრ: გაიხსნება შეერთებული პალატა სისხლისა და სამოქალაქო სამსახუროსი, ნაცვლად ძველის სასამართლოებისა და დაფუძნდება სამსახურო გამომძიებლობა.

◆◆ რუსეთის სახალხო განათლების სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ამ ბოლოს დროს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე ახალგაზღვრება სწორად იცავის სასწავლებელს, ერთის სასწავლებელიდან მეორეში გადადის. სამინისტრომ განმარტა, რა სული შედეგიც მოჰყვება ხოლო ამ გარემოებას და წინადადება მოსცა ყველა სასწავლო ოქტის მზრუნველობას, რომ იმ მოწოდებებში, რომელნიც დათხოვნილ მოწაფეთ ეძლევათ, დაწვრილებით იყოს აღნიშნული ყველა სასწავლებელი, სადაც მოწოდების პატრონი უსწავლია, ნაჩვენები იყოს დრო სასწავლებელში მიღებისა და იქიდან გამოსვლისა.

◆◆ ბაზ. «СВѢТЬ» ამტკიცებს, რომ ნოემბრის 1-თვის მზად იქნება რუკის-გზა ასხაბადამდის.

უცხოეთი

◆◆ ინგლისურს გაზეთს Times-ს აცნობებენ ძალკუტიდამ (ინდოეთი), რომ ინდოეთის მმართველობას არაკითარი ბეჯითი ცნობები არ მიუღია მაზედ, თუ რუსები დიდ ძალს ჯარს ჰგზავნიან ავღანის საზღვრები საკენ. რუსები, როგორც ეტყობა, სცილობენ, რომ პენჯდეს გასწვრივ დაიჭირონ და გაამაგრონ ადგილები. ხმა არის აგრეთვე, რომ მდგომარე ავეისტოს განმავლობაში ავღანის სამხლარზე შეკრებული იქნება სრულიად საკმაო ჯარი რუსებისა. შემდეგ კორესპონდენტი ამტყუნებს ხმებს, რომ ვითომ ზულფიკარის ხეობისაკენ მიეშურებოდეს ავღანის ჯარი, რომ ავღანელნი ძლიერ აღელვებულნი არიან და ემირიც დარწმუნებულა შეტაკების აუცილებლობაზე. ინდოეთის მმართველობა მაამ არ გაალაშქრებს თვის ჯარებს შანდაპარისკენ, სანამ რუსები ჰერათს არ დაიჭერენ. ამ წამად—რაც შეიძლება ამტკიცებენ პიშინის ხეობას. აქ დაბანაკებული იქნება დიდძალი ჯარი, რომელმაც სულ მოკლე ხანში უნდა დაიჭიროს შანდაპარი, თუ რომ რუსები განიზრახენ ჰერათის აღებას. მცოდნე პირნი ამტკიცებენ, რომ ინგლისის ჯარების წაწევა ჰერათისკენ დიდი სტრატეგიული შეცდომა იქნება; უმჯობესია ლოდინი, სანამ მტერი თავს დაგვესხმებოდეს ჰელმუნდში და შანდაპარში, სადაც მომზადებული ვიქმნებით; უფრო საჭიროა სხვა მაგარი ადგილებიც ავარჩიოთ და აქედამ შემდეგ თვით ჩვენ წავიდეთ მტრისკენ. თუ ემირიც დასთანხდა—მოკლეს ხანში სურთ ტელეგრაფის მეთული გაიყვანონ ჰერათიდან შანდაპარამდის.

◆◆ მასუკან რაც ცრუ-წინასწარმეტყველმა მაჰდომ ხართუმი აიკლო, სადაც გამაგრებული იყო გენ. ბორდონი თვისის მცირე რაზმით, გეგონია, ხუთჯერ-კი მოკლეს ეს ბედკრული ინგლისელი მამაცი გენერალი და ხუთჯერვე გააცოცხლეს. ღღეს მაჰდი ბორდონის მკვლელი, მოკვდა, და ეს მისგან ყელ-გამოკრილი გენერალი კვალად გააცოცხლეს. მართს ინგლისელ აფიცერს, რომელიც სულანიდამ დაბრუნებულა, ულაპარაკნია, რომ თვით იმისათვის უთქვამთ ბევრ პირთ, რომელთაც ხართუმიდამ თავი დაუღწევიათ, რომ ბორდონი ცოცხალია და სენარში იმყოფება; ეს ქალაქი არ დანებებია მაჰდის. რამდენიმე დღის წინად ხართუმის აკლებამდის ბორდონმა,—რაკი დარწმუნდა იგი, რომ ხსნა შეეღა არსათ მოელის მასა და მის მცირე, ერთგულად დარჩენილს ჯარს, გადიცვარ ბედუინის ტანთ-საცმელი და გაიპარა სენარისკენ. აქ მან ითავა ამ ციხის ჯარის უფროსობა. ის თავი კი, რომელიც მაჰდომ შუბზე ააგო და ხართუმის გალაგანზე დაასო, ბორდონის თავი როდი ყოფილა, არამედ მოკლულის აესტრის ელჩისა.—მსეთი ფანტაზიური ხმები გავრცელებული ამ წამად ბორდონზე და ერთ უმთავრეს საბუთად, რომ ეს ხმები მართალი უნდა იყოს ისიც არისო, რომ გენ. შელსლიმაც ამ ხმების გარდა ვერავითარი ნამდვილი ცნობები ვერ შეკრებია ბორდონის თავ-გადასაჯალზე.

◆◆ Standard-ის ენელ კორესპონდენტს ჰგონია საუბარი ინგლისის აესტრიელ ელჩთან, რომელიც სხვათა შორის უთქვამს. «ჩვენ ვცდილობთ კეთილი დამოკიდებულობა ვიქონიოთ ყველა სახელმწიფოებთან: ოსმალეთთან, ბერმანიასთან, აესტრიასთან და აგრეთვე საფრანგეთთან და იტალიასთანაც. ძლიერ სცდებიან ისინი, ვინც ჰუიკრობენ, რომ ჩვენ მტრულად უყურებდეთ საფრანგეთს. სრულიად არაა; ჩვენი წადილია—კეთილი განყოფილება გვქონდეს საფრანგეთთან. ჩვენ მივყობთ ბერლანის ტრაქტატს. ჩვენა გესურს აღვადგინოთ მეგობრული კავშირი ყველა იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე ხელი აქვთ მოწერილი. ინგლისს არ უნდა ჰქაედეს არც ერთი მოწინააღმდეგე უცხო სახელმწიფოთაგან. ახალი კაბინეთი წველისაგან მხოლოდ ამით განსხვავდება, რომ გარეშე პოლიტიკაზე თავისებური შეხედულება აქვს მას».

აშოთან, თუ შოთა?

ამ მოკლეს ხანში თბილისში აღმოსწდა ერთი ხელთნაწერი ქართული წიგნი, რომელსაც სახელად «მუქსოლაოკა» ეწოდება. დაწერილია ამ საუკუნის დასაწყისს რუსეთში მყოფის ბატონიშვილების ერთის ქართვე-

ლის მღვდლისაგანა. წიგნის შინაარსი შეეხება ლიტურჯის სწავლის გავრცელების და მის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა.

წიგნს მიუძღვის ვრცელი წინასიტყვაობა, წინასიტყვაობა მთარგმნელს ეკუთვნის, იგი დაწვრილებით განმარტავს ქართული საეკლესიო მწერლობის შესახებ, თუ იმავე დროის დასაწყისიდან, რა დროიდანაც კი აღორძინდა ქართული საეკლესიო მწერლობა, რა წარმატებით ვრცელდებოდა უკანასკნელს დრომდის, ე. ი. ვიდრე საქართველოს თავის საკუთარი საეკლესიო წარმომადგენი ჰყვანდა.

მით ალაგას განმარტავს, რომ სასულიერო სასარგებლო წიგნებს გარდა ქართველებში საეროც ბევრიოა, რომელნიც დიდის წარმატებით გავრცელებულან და ვრცელდებიან კიდევცაო. ამ გვარ საუკრადებო წიგნებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი წიგნები:—«ამირან დარეჯანიანი» მოსე ხონელისა, მისრაიანი, თარგმანი ლავით საათა ბაგოელისა, ღილარიანი სარგის თმოგეელისა და ბრწყინვალე წიგნი «მეფხვის ტყალსანი» აშოთან რუსთაველისაო, ასე და ამ სახელით რამდენსამე ალაგას იხსენიებს შოთა რუსთაველსა და უეჭვით ერწმუნება იმას, რომ შოთა რუსთაველს «აშოთინს» ეუნდა ეუწოდდეთო.

ამ სახელ-წოდებებში, მართალია, ისეთი დიდი რამ განსხვავება არაფერია, რომ მის შუა ხაზის გაღლა შეგვიძლებოდა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩვენ ჩვენის დიდებული პოეტის სახელი და ღირსება ისე დიდად მიგვიჩინია და მას ისე ვაბრაონობთ, რომ მასზე თუ კი რამ აღმოსწრდება სადმე რამ და უცხო იქმნება, უეჭველია ყოველი ქართველი დიდის სიამოვნებით წაიკითხავს და ამ დიდებული კაცის ცხოვრების მცირე ცნობებსაც რამე მივმატება.

აქამდის მრავალთათვის საკვირველი იყო, რომ შოთას-ქრისტიანობაში აღარ ხმარობდნ საქართველოში და რუსთაველისთვის კი უწოდებიათო. მართლაცა და მთელს «ქართლის ცხოვრებაში» ქრისტეს შემდეგ მხოლოდ ორი პირია ამ სახელით მოხსენიებული. მახუმტიც ასე ამტკიცებს თავის გეოგრაფიაში, რომ შოთა კერპთთაყვანის ცემის დროინდელი სახელიაო. მხლა კი ჩვენ უეჭვოდ ერწმუნდებით, რომ რუსთაველისთვის აშოთასი უნდა ეწოდებინათ, რადგანაც აშოთანი ქრისტიანობის შემდეგც იხმარება, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში: აშოთან მუხრან-ბატონი, აშოთანი და შრისთავი, აშოთან ბატონიშვილი და მრავალი სხვა-და-სხვანი, რომელნიც ასე იწოდებოდნ მეთვრამეტე საუკუნის გასულამდე. შეკველია რომ რუსთაველის სახელიც აშოთანი იქმნებოდა და ხალხისაგან შოთათ გადაკეთებული, რადგანაც საქართველოს ერს უფრო ეადვილება ისეთი სახელების ხმარება და ხსენება, რომელთაც კნინებითი ფორმა აქვს მიცემული.

მაშ დღეის შემდეგ ჩვენ გვეცოდინება რუსთაველის სახელის ისტორია: თუ რა ერქვა მას და ან ხალხმა როგორ გადააკეთა მისი სახელი. ბერს ასე ეგონა რომ შოთა რუსთაველის მეტი სახელი უნდა იყოს და მისმა ნამდვილმა სახელმა ჩვენამდის ვერ მოაღწიაო. ძნელად დასაჯერებელია რომ სახელ იმ კაცისას, რომელმაც დაგვიტოვა ბრწყინვალე წიგნი, ჩვენამდის არ მოელწია. იოდნვეთ კი მოაღწია, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცოდით.

ახლა კი ცხადად დაერწმუნდით. რომ რუსთაველს ქრისტიანი კაცის სახელი აშოთან რქმევია და ეს აშოთანი ხალხს შოთათ გადაუკეთებია.

მ. ჭიჭისაძე.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სასაგანტოსი“ ავეისტოს 10-ს.

ნიშნი-ნომეროლდი 5,000 ბოჩკა ვიზლიანის ღვინისა შეიქმნა ორმა მოსკოვის ფინამ 2 მ. 40 კ. და 2 მ. 75 კ გედრო. 1,300 ბოჩკა ეიდეს ნიჟეგორადის სირაჯუმბა 2 მ. 40 კ. და 2 მ. 60 კ. გედრო. შემსხისის და დარუბანდის ღვინისა 1000 ბოჩკა იყო გავსავნილი იარმუკასკე; აქედამ 600 ბოჩკა გასადას ვაწანში 2 მან. და 2 მან. 20 კ. გედრო. ღვინო ნაკლებია, მკვახე ყურძნისაგან. თაგი ღვინო ვიზლიანისა 4,000 ბოჩკა გავსავნილ იქმნა მოსკოვში, ზეტრე სმიონოვის სახელობაზე. იარმუკასკე 5,000 ბოჩკა ვიზლიანის ღვინისა და 100 შემსხისის, რომლისაც გედრო ექვს აბასად ქუფსობს.—მოზსულელები ცოტანი არიან სხვა ქალაქებდას, ადრინდელ იარმუკასთან შედარებით; უფულაბს უჩივიან.

ავეისტოს 10-ს.

პეტერბურში. წუხელის მთინა იმპერატორებითი დიდებულებანი ზეტერგოფიდამ რვინის გზით გაემგზავრენ აგსტრინისკენ, სადაც კრემლშია ხახვენ აგსტრინის იმპერატორს. მათ დიდებულებათ თან ახლავან შემჯიდრე ცესარევისი, დიდი თავადნი გიორგი და ვლადიმერი ალექსანდრეს ძენი და მანამ ჰვალეს ასული, სასახლეს მიხისტრი ვორონცოვი-დაშკოვი, გენერალ-ადიუტანტება: რისტკერი, ჩერგინი დახილოვიჩი და სხვა სახად-ხო პირნი და ამაღები. სახლგარეშე საიმპერატორო მატარებელს გაჰყავს: გარეშე საქმეოა მიხისტრი გირსი, ფლიგელ-ადიუტანტა აგსტრინის იმპერატორისა კლენი, გამერგერი გრაფი ლაშხდარფი, კაპერ-იუნკერი გირსი, აგსტრინის იმპერატორის გრენადერის პოლკის უფროსი და ამავე პოლკის რატის უფროსი.

მანა. კრემლშია შეხვედრის დროს დაესწრებან: აგსტრინის ტახტის მემკვიდრე პრინცი რუდოლფი, ერცჰერცოგი კარლ ფუდვიგი, აგსტროგენრიელა გარეშე საქმეოა მიხისტრა

გრადე კანკაი, ავსტრიის მინისტრთა თანხმად...

სტამბოლი. სუთშაბათს ჩამოვიდა აქ ანკლისი...

პარიზი. სუდანი ფრანგულ მოგზაურს...

ავსტრიის 12-ს.

პატივგამაყობი. გასუთების სიტყვით გუშინ...

პარიზი. იმპერატორი და იმპერატრიცა...

მადრი. ეგვიპტის მმართველობაში მიიღო...

ბანსხაღებანი სანიაკებელი მაშინები

ჩვენებურის (კვერთ) ნალეწის განსაზღვრად...

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ალექსანდროვის...

წერილების მომწერლებს უმორჩილესად...

შოკოლადი ს. სიუ და კო. (II. 2542). (46-26)

თბილისის თავად-ანაუთ საადგილ-მამულა ბანკის გამკობა...

ა. ძალაქის მაშულავი

ბერძენოვისა, ძალაქის ასესორის ქერივის დარია გიორგის ასულისა...

პარათაშვილისა, თ-ლის ნიკოლოზ გრიგოლის ძის. მარი თითო სართულიანი...

სალოვისა, ლუბერ. სეკრეტრის მეუღლის ოლლა თეოდორეს ასულისა...

კარაიკებისა, გიორგი და დავით ალექსანდრეს ძეთა. ორ სართულიანი...

მალაოვისა, კოლეჯ. რეგისტრატ. მეუღლის მარიამ დიმიტრის ასულისა...

ჩაგანისა, კოლეჯ. სეკრეტრის ალექსანდრე სტეფანეს ძისა...

თუშანოვისა, ალექსანდრეოლის მცხოვრების სიმონ თომას ძისა...

ბ. სოფლის მაშულავი

მალაოვისა, კოლეჯ. რეგისტრ. მეუღლის მარიამ დიმიტრის ასულისა...

მელიქ შისანოვისა, შუშის მცხოვრებთა: კონსტანტინე, პეტრე, და...

შალივოვისა, ქერივი კენინა ევატორინე პატარას ასულისა...

ბაქრაძისა, აზნაურის იოსებ დავითის-ძის. საბოსტნე ადგილი...

კრისტოვისა, თ-ლის იოსებ დავითის-ძის. საძოვარი ადგილები...

მაკრობა დაიწყო ყოველ მამულზე იმ ჯამიდან, რომელიც ნაჩვენებია...

მაკრობა მოხდება ქ. თბილისის ბანკის სადგურში. ვაჭრობა დაიწყო...

(3-1)